მარიამ წიკლაური

ელფი ექიმთან

ტყეში ცხოვრობს ციცქნა ელფი,
ოსტატია კენკრის კრეფის:
კრეფს მარწყვს, ჟოლოს, მოცვს და მაყვალს,
ხელს არ ჰკიდებს დაბლა ნაყარს.

ტყეში დადის სტვენა-სტვენით,
შინ ბრუნდება სავსე ძღვენით.
თუ ვერ ატევს კალათაში,
მოაქვს ჯიბით, ქუდით, ხელით.

მეზობლებსაც ურიგებს,
მოხუცებს და ბავშვებს.
განა ხვეწნა სჭირდება,
სიხარულით აჭმევს.

ერთხელ მაყვლის კრეფისას
ელფს შეერჭო ეკალი,
თითქოს ფუტკარს ეკბინოს
წვეტიანი ნესტარით.

მის ფეხსაცმელს ჰქონია
თითთან ლანჩა ამძვრალი.
ისე ძლიერ ეტკინა,
დაიმანჭა საწყალი.

განა ჯიპით? განა ციგით?
განა ეტლით? აბა, რით?
გზას დაადგა თავის ფეხით,
პაწაწინა ყავარჯნით.

გაიარა ტყე და მდელო,
გორა, ტბა და შარაგზა,
ვერც ყვავებმა შეაშინეს,
ვერც – კატამ, ვერც – ნაგაზმა,
და ექიმის სახლის კარი
ელფს გაუღო დარაჯმა.

ექიმს ეცვა ლამაზი
გრძელი თეთრი ხალათი.
თაროებზე ელაგა
წამლის, ბამბის მარაგი.

გაუხარდა ექიმს
ნახვა ციცქნა ელფის.
გაუსინჯა თვალიც,
ყურიც, ფეხიც, თავიც.

ღრმად ჩახედა ყელში,
გაუზომა სიცხეც.
თან ანკეტა ნახა,
ინიშნავდა რიცხვებს.

როგორც იქნა ამოაძრო
ელფს თითიდან ეკალი,
პაციენტი ცახცახებდა
ტკივილისგან შემკრთალი.



გაუსინჯა ჭრილობა,
გაუწმინდა სპირტით,
ზედ წაუსვა მალამო,
შეუხვია ბინტით.

ცოტა კიდეც ეწვოდა,
ცოტა კიდეც სტკიოდა...
ვაჟკაცურად ითმენდა
ელფი, განა ტიროდა.

ერთი ცრემლი მოადგა
და იმისიც შერცხვა.
მადლობაც თქვა დროულად
პაწაწინა ელფმა!

მერე დიდხანს ისაუბრეს
და იცინეს ბევრი.
ელფს ეკალი დაავიწყდა,
ვითომც არაფერი!

გზად ხარაზთან შეიარა,
დააკერა ლანჩა.
რაღა გითხრათ?
ჩვენი ელფი
კმაყოფილი დარჩა.

ადრიანად მიდის ტყეში,
კრეფს ხან ჟოლოს, ხანაც – მაყვალს.
შრომა არ ღლის. ტოტიდან კრეფს,
ხელს არ ჰკიდებს დაბლა ნაყარს.

ეს – ექიმსო, ეს – ხარაზსო,
გაუმზადა ძღვენი:
თითო კილო კენკრა,
თითო ქილა ჯემი.

უხარია ჩვენს ელფს,
დადის სტვენა-სტვენით.